პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი

# Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 10 თებერვალი, 1990 წელი ● № 7 (2884) ● СУББОТА, 10 ФЕВРАЛЯ 1990 г.

## ИНФОРМАЦИОННОЕ СООБЩЕНИЕ

### О ПЛЕНУМЕ ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КОММУНИСТИЧЕСКОЙ ПАРТИИ СОВЕТСКОГО СОЮЗА

**5 ФЕВРАЛЯ** 1990 года начал работу очередной Пленум Центрального Комитета КПСС. На рассмотрение Пленума вынесен вопрос

о проекте платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии.

С докладом по этому вопросу на Пленуме выступил Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев.

На Пленуме образована Редакционная комиссия по доработке проекта платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии и подготовке постановления Пленума по обсуждавшемуся вопросу.

**6 ФЕВРАЛЯ** под председательством М. С. Горбачева на заседаниях Комиссий продолжалось рассмотрение предложений и замечаний, вносимых участниками Пленума по проекту платформы ЦК КПСС к XXVIII съезду КПСС.

**7 ФЕВРАЛЯ** на Пленуме ЦК КПСС продолжалось обсуждение проекта платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии и доклада Генерального секретаря ЦК КПСС М. С. Горбачева по этому вопросу.

После всестороннего рассмотрения предложений Редакционной комиссии Пленум одобрил доработанный с учетом поступивших замечаний и состоявшегося обсуждения проект платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии и принял постановление по этому вопросу.

На пленуме было продолжено обсуждение вопросов, связанных с решениями XX съезда Компартии Литвы.

По этому вопросу выступил Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев.

Пленум принял по данному вопросу постановление.

С заключительным словом на Пленуме ЦК КПСС выступил М. С. Горбачев

На этом Пленум ЦК КПСС закончил свою работу.

### ПОСТАНОВЛЕНИЕ ПЛЕНУМА ЦЕНТРАЛЬНОГО КОМИТЕТА КПСС ОТ 7 ФЕВРАЛЯ 1990 ГОДА О ПРОЕКТЕ ПЛАТФОРМЫ ЦК КПСС К XXVIII СЪЕЗДУ ПАРТИИ

1. Одобрить с учетом обсуждения и замечаний, высказанных участниками Пленума, проект платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии.

2. Опубликовать проект платформы ЦК КПСС к XXVIII съезду партии в печати для широкого обсуждения в партийных организациях, среди коммунистов и всех трудящихся.

## კოლეგიის გაფართოებულ სხდომაზე

**გაიმართა** საქართველოს სსრ შს სამინისტროს კოლეგიის გაფართოებული სხდომა, რომელზეც შეჯამებული იქნა გასული წლის შედეგები.

სხდომა გახსნა რესპუბლიკის შს მინისტრმა შ/ს გენერალ-ლეიტენანტმა **შ. გორგოძემ**. მოხსენება „რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების, 1989 წლის განმავლობაში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობის პირობებში საქართველოს სსრ შს ორგანოებისა და ქვედანაყოფების სამსახურებრივი საქმიანობის შედეგებისა და 1990 წელს დამნაშავეობასთან უკომპრომისო ბრძოლის შესახებ“ გააკეთა საქართველოს სსრ შს მინისტრის პირველმა მოადგილემ, შ/ს გენერალ-მაიორმა **ვ. შადურმა**.

დღის წესრიგის მიხედვით მოხსენებით: „დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერების, მილიციის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების და ძალების განმტკიცების თაობაზე ქუთაისის შინაგან საქმეთა სამმართველოს ინიციატივის შესახებ“, „სოციალისტური კანონიერებისა და დისციპლინის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებსა და ქვედანაყოფებში 1989 წელს“ და „1990 წელს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმოებებსა და სამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო და საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობის შედეგების შესახებ“. შესაბამისად გამოვიდნენ შს მინისტრის მოადგილე, შ/ს პოლკოვნიკი **ი. ერმოლაევი**, კადრების სამმართველოს პირადი შემადგენლობის ინსპექციის უფროსი, მილიციის მაიორი **ზ. ამილახვარი** და საფინანსო-საგეგმო განყოფილების უფროსი შ/ს პოდპოლკოვნიკი **ი. ბუზუნავა**. შემდგომ გაიმართა კამათი.

დასასრულს მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კპ ცკ სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი განყოფილების გამგე **ო. გონაძე**.

* * *

(კოლეგიის სხდომის მასალებს ვრცლად შემოგთავაზებთ შემდეგ ნომერში).



## დამსახურებული ავტორიტეტი

**ხობის** შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი მილიციის მაიორი ვ. ჩადუნელი შს ორგანოებში მუშაობს 1965 წლიდან, დიდი ავტორიტეტით სარგებლობს მოსახლეობაში და პირად შემადგენლობაში, არის შს განყოფილების გაზეთის რედაქტორი, არჩეულია რაიონის გაზეთის რედკოლეგიის წევრად. მისი ოპერატიული მუშაობის შედეგად გახსნილი იქნა ხენაკი-ფოთის გზაზე ავტოსაგზაო შემთხვევის დროს მომხდარი მკვლელობის ფაქტი, მან დააკავა და რაიგანყოფილებაში წარმოადგინა საკავშირო ძებნილი რეციდივისტი კოხოვი, რომელმაც ხობში ჩაიდინა ბინის ქურდობა.

1989 წელს მის მიერ ამოღებული იქნა 22 ხანდირო თოფი, 85 ლიტრი შინნახადი არაყი, 3 არყის სახდელი აპარატი, გამოავლინა 12 უმუშევარი, საპასპორტო რეჟიმის დარღვევაზე შეადგინა 41 ოქმი. შემოსულ საჩივრებს თავის სამოქმედო ზონებში არჩევს დროულად. გამოვლენილი ჰყავს სპეკულანტები და ქრთამის აღები პირები.

მან განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 1978 წელს რაიონში დატრიალებული სტიქიური უბედურების — წყალდიდობის დროს, მისი საზრიანი და თავდადებული მოქმედებით გადარჩა მრავალი ადამიანის სიცოცხლე, ამისთვის ის დაჯილდოვდა შს სამინისტროს საპატიო სიგელით, მიღებული აქვს მრავალი მადლობა.

ბ. მგალობლიშვილის ტექსტი და ფოტო.

პოზიცია

## მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცულობის საკითხებისათვის

**მიმდინარე** ეტაპზე, როცა ცხოვრებამ მოითხოვა ყოველივე დრომოჭმულის ახლებურად გარდაქმნა და შეფასება, სრულიად კანონზომიერად წამოიჭრა საკითხი მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცულობის შესახებ.

როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მუშაობა საბჭოთა მილიციის შესახებ კანონპროექტის შესამუშავებლად.

ისევე როგორც სხვა კანონმდებლობები, ეს კანონიც ვერ შეძლებს ამოწუროს ყველა საკითხი ისე, რომ საჭირო აღარ გახდეს სხვა ნორმატული აქტების მიღება, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან მილიციის ცხოვრება-მოღვაწეობას ფართო გაგებით.

ამ წერილში ყურადღება მინდა გავამახვილო ზოგიერთ ნორმატიულ აქტში არსებულ ხარვეზებზე:

1. საბჭოთა მილიციის საპატრულო-საგუშაგო სამსახურის წესდების 244-ე და 445-ე მუხლები აწესებენ, რომ თავდასხმის სხვადასხვაგვარ შემთხვევაში გამაფრთხილებელი გასროლა უნდა მოხდეს მაღლა, რაც ჩემი აზრით, არასწორია. მაღლა გაისროლოს თუ დაბლა, ეს სიტუაციამ უნდა უკარნახოს იარაღის გამომყენებელს და არა ინსტრუქციამ. წარმოიდგინეთ რა შეიძლება მოხდეს თუ სროლა ხდება ისეთ ორსართულიან სადგომში, სადაც ზის ჭერ-იატაკია.

2. ამავე ინსტრუქციის 311-ე მუხლში ვკითხულობთ: „დასასვენებლად (ძილისათვის) და საჭმლის მისაღებად გამოყოფილი საათები ყარაულში ყოფნის დროს სამსახურებრივ დროში არ ჩაითვლება.“

ისმის კითხვა: თუ ყარაულში ყოფნის დროს საჭმლის მიღებისას ან დასვენების (ძილის) დროს მილიციის თანამშრომლის სიცოცხლეს შეიწირავს ბოროტმოქმედი ან სხვა უბედური შემთხვევა (მიწისძვრა და ა. შ.) ჩაითვლება თუ არა იგი სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულად და გავრცელდება თუ არა მის ოჯახზე არსებული საპენსიო კანონმდებლობით გათვალისწინებული წესები?

ჩემი აზრით, მილიციის თანამშრომელი სამსახურში უნდა ჩაითვალოს სახლიდან ამ მიზნით გასვლის და სამსახურის შესრულების შემდეგ სახლში დაბრუნების მომენტამდე, თუ იგი კერძო საქმეების გამო სამსახურიდან სახლის ნაცვლად სხვაგან არ წავიდა.

3. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 8 ივნისის ბრძანებულებით, დადგენილია, რომ უბნის ინსპექტორად დანიშნული პირი ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის მიერ დამტკიცებას, მაშ რომელი კანონის საფუძველზე ამტკიცებენ და ხსნიან პარტიული და საბჭოთა ორგანოები შინაგან საქმეთა ორგანოების სხვა სამსახურების თანამშრომლებსა და ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელებს?

თუ მილიციის სამართლებრივი დაცვის იდეას ხორცშესხმა უწერია უნდა დადგინდეს იმის გარანტია, რომ მილიციის ნებისმიერი თანამდებობის პირს უნდა ნიშნავდეს და ხსნიდეს მხოლოდ შინაგან საქმეთა ორგანოების ზემდგომი ხელმძღვანელები, მათ ნომენკლატურაში განსაზღვრული ნიხრის მიხედვით.

შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა დანიშვნა განთავისუფლებას უნდა წყვეტდეს იმ უწყების ხელმძღვანელი, საიდანაც იგი ხელფასს იღებს, რამეთუ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 8 ივნისის № 385 დადგენილებით გამოცხადებულ საბჭოთა მილიციის დებულებაში პირდაპირაა ნათქვამი, რომ ქვეყანაში მილიციის ყველა სამსახურის ხელმძღვანელობას ახორციელებს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი.

მთავრობის ამ დადგენილების უხეში დარღვევების ბრალია ის, რომ მილიციის სამსახურში ყველა ხელს ურევს, ვისაც ხელეწიფება და თანაც იქამდე, რომ უბნის ინსპექტორებს თანამდებობიდან ხსნიან სამომსახურო ტერიტორიაზე ანტისანიტარიისათვისაც კი და ავიწყდებათ, რომ სანიტარული წესრიგის უზრუნველსაყოფად არსებობენ სხვა სამოქალაქო სამსახურები.

ამ დადგენილების მესამე თავში ჩამოყალიბებულია მილიციის მოვალეობანი და არავინ არ უნდა იყოს უფლებამოსილი დაავალოს მას სხვა ფუნქციები (მაგალითად თივის დამზადება და ა. შ.)

(დასასრული მე-3 გვ-ზე)

## დაასახელეს დეპუტატობის კანდიდატებად

**ამიერკავკასიის** რკინიგზის სამტრედიის სადგურის შინაგან საქმეთა სახაზო განყოფილების უფროსი **ვაჟა ილარიონის ძე მახარაძე** — საქართველოს სსრ იურისტთა კავშირიდან.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტის რექტორი **მამია დომენტის ძე დარჩია** — ოზურგეთის № 2 ჩაის ფაბრიკის შრომითი კოლექტივისაგან.

ქალაქ თბილისის ლენინის რაიაღმასკომის შინაგან საქმეთა განყოფილების მეორე განყოფილების უფროსი **გია აბიბოს ძე გელაშვილი** — ქალაქ თბილისის № 10 ლენინის რაიონის დავით კაკაბაძის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებისაგან.

აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი **მიხეილ ბიძინის ძე ზოიძე** — ამ სამინისტროს სახანძრო განყოფილების № 3 გასამხედროებული სახანძრო რაზმის პირადი შემადგენლობის შრომითი კოლექტივისაგან.

# კარდინალურად უნდა გარდაიქმნას

**ქუთაისის** შინაგან საქმეთა სამმართველოში გაიმართა პარტიული აქტივის კრება, რომელზეც განხილული იქნა 1989 წელს შს სამმართველოს მიერ ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით გაწეული მუშაობა.

შს სამმართველოს უფროსის მოადგილემ, მილიციის პოდპოლკოვნიკმა ე. ბუცხრიკიძემ, რომელმაც საანგარიშო მოხსენება გააკეთა და კამათში გამომსვლელებმა კრიტიკულად გააანალიზეს გაწეული მუშაობა, აღინიშნა, რომ დღეს როგორც არასდროს ისე არის გართულებული რესპუბლიკაში საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, რომ მთელი წლის განმავლობაში პირადი შემადგენლობის თითქმის ნახევარი მივლინებული იყო ქვემო ქართლის, აფხაზეთის, ოსეთის რეგიონებში. გასულ წელს არანაკლებ დაძაბული სიტუაცია იყო დასავლეთ საქართველოში, შექმნილი რთული მდგომარეობის შესაბამისად შს სამმართველოს მუშაობაში აქტიურად იქნა გამოყენებული მუშაობის არაორდინალური მეთოდები და ფორმები, რათა ექსტრემალურ ვითარებაში ნორმალურად ფუნქციონირების საშუალება მისცემოდა ყველა დანაყოფსა და სამსახურს, თამამად შეიძლება ითქვას, რომ შს სამმართველომ შესაძლებლობების ფარგლებში გაართვა თავი მათ წინაშე მდგომ რთულ, ჩვენი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ამოცანების გადაწყვეტას, რომელიც არაერთ თანამშრომელს საკუთარი ჯანმრთელობის მოშლის ფასად დაუჯდა.

მაგრამ მუშაობის ასეთ პირობებს არ შეიძლებოდა თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ოპერატიულ-სამსახურებრივ მაჩვენებლებზე, გაუარესდა მაჩვენებლები სისხლის სამართლის ხაზით, განსაკუთრებით გაიზარდა მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულობანი, პირადი და სახელმწიფო ქონების ქურდობის შემთხვევები, ავტომანქანების გატაცებები და სხვა. არასახარბიელო მდგომარეობა არის შექმნილი ქალაქში სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის კუთხით, განსაკუთრებით თავაშვებულობაა სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურეობის ობიექტებში.

სერიოზული ნაკლოვანებებია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების ორგანიზაციის კუთხით. განსაკუთრებული მსჯელობის საგანი იყო სხვადასხვა სამოქმედო ტერიტორიებზე მუქთახორობის, რეციდიული დანაშაულის და არასრულწლოვანთა მხრიდან სამართალდარღვევათა ფაქტების გამოვლენისა და მათთან პროფილაქტიკური მუშაობის ორგანიზაციის გაუმჯობესების საკითხებზე. შს სამმართველოს უფროსმა რ. თევზაძემ ვრცლად ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც დღეს მილიციის წინაშე მრავლად დგას.

გულისტკივილით აღინიშნა, რომ სკკპ ცკ-ის დადგენილების შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოების მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის უზრუნველყოფის საკითხში ჯერჯერობით თითქმის არავითარი კონკრეტული ნაბიჯი არ გადადგმულა, ძალზე მცირე რაოდენობით ხდება თანამშრომლებზე ავტომობილის, ავეჯის გამოყოფა, დეფიციტის განაწილების კომისია კი რატომღაც პირველადი მოხმარების საგნების განაწილებაში შს ორგანოების მოთხოვნებს არ ითვალისწინებს.

გამოითქვა აზრი, რომ მილიციის მუშაობის სრულფასოვანი შემფასებელი საზოგადოებრივი აზრია, რომელიც არც ისე სახარბიელოა, ამიტომ მილიციის მუშაობა კარდინალურად უნდა გარდაიქმნას.

აქტივის კრებას დაესწრო პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი დ. ჩიხლაძე, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე თ. შაშიაშვილი, ქუთაისის ლენინისა და ავტოქარხნის რაიკომის პირველი მდივნები მ. ფაჩუაშვილი და ს. კურტანიძე, გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორი ა. შენგელია, ქალაქის პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, სასამართლოების წარმომადგენლები.

აქტივის კრებამ მიიღო შესაბამისი დადგენილება.

**დ. ცაავა.**

**ქუთაისის შს სამმართველოს პოლიტიკური ნაწილის უფროსი ინსტრუქტორი.**

# ИЗМЕНА

## ИЛИ «КРЕПОСТЬ РУШИТСЯ ИЗНУТРИ» — ТАК ГОВОРИТСЯ В СТАРОЙ ГРУЗИНСКОЙ ПОГОВОРКЕ

**Грузинского человека до такой мысли довел многовековой горький опыт непрекращающихся войн с внешними и внутренними врагами.**

**К сожалению, силу и мудрость этих слов почувствовало на себе и наше нынешнее поколение, когда вместо единения и консолидации, прикрываясь лозунгами перестройки и демократизации, некоторые экстремистски настроенные группы граждан разных национальностей, в различных уголках нашей республики, теми или иными способами провокационного характера пытаются разрушить силу и единство единой Грузии и присвоить ее исконные земли, являющиеся испокон веков ее неотъемлемой частью. (Тем более, сейчас, когда всем известные трагические события происходят в Закавказье между соседними народами в Армении и Азербайджане).**

ИХ националистические, противоправные действия отрицательно повлияли и на некоторых сотрудников органов внутренних дел ряда регионов нашей республики. Это имело место во время событий в Квемо Картли, Абхазии и Юго-Осетии.

Как говорится, — «Где цепь слаба, там она и разрывается».

Одним из таких оказался «бывший» начальник отделения государственного пожарного надзора Болнисского РОВД, «бывший» майор в/с Алиев Уджаят Гаджисаят-оглы, которого недавно Верховный суд Грузинской ССР признал виновным по статьям 206 (часть 3) и 228 (часть 2) УК Грузии и приговорил к четырем годам лишения свободы, с отбыванием наказания в колонии усиленного режима.

Подсудимый У. Алиев родился и вырос в селе Дарбази Болнисского района, там же закончил русскую среднюю школу. После окончания школы поступает в Харьковское пожарно - техническое училище МВД СССР, которое успешно заканчивает в 1978 году, и руководство УПО МВД ГССР направляет молодого офицера в его родной Болниси, на должность начальника отделения госпожнадзора Болнисского РОВД.

В 1983 году его направляют на учебу в высшую инженерно - техническую школу МВД СССР, которую он закончил без отрыва от работы в 1988 году. Вырос в семье матери - героини, сам женат, имеет троих малолетних детей.

Казалось, жизнь у молодого офицера налаживается — член КПСС, секретарь первичной комсомольской организации РОВД, за время службы ни одного взыскания но... летом 1989 года он получает самое горькое в своей жизни взыскание — приговор.

Прокуратура Грузинской ССР, рассмотрев уголовное дело на гр-на У. Алиева, установила:

В течение июня - июля 1989 года на территории Марнеульского, Болнисского и Дманисского районов Грузинской ССР в результате возникших стычек разновременно совершились: убийство, злостное хулиганство, взрывы, уничтожения личного имущества и другие виды преступных проявлений. Расследованием установлено, что 23—25 июля 1989 года многочисленные толпы местных жителей, подстрекаемые националистически настроенными элементами, желающими возбудить чувство вражды к грузинскому народу, вооружившись огнестрельным и холодным оружием вышли на улицы Марнеули, длительное время злостно нарушали общественный порядок, препятствовали проезду транспорта через город, наносили автомашинам повреждения, а людям увечья.

25 июля днем на территории колхозного рынка Болниси группа преступников, угрожая насилием, запрещала крестьянам продавать сельхозпродукты, прогоняя их с рынка и уничтожая продукты. В этот же день, примерно в 21.30, нарушители общественного порядка, вооруженные прутьями, топорами, ножами, охотничьими ружьями и другими предметами для нанесения телесных повреждений, на грузовых и легковых автомашинах выехали из Марнеули с целью нападения на граждан грузинской национальности, проживающих в Болнисском районе.

В результате противоправной акции 17 человек получили телесные повреждения. К лицам, совершившим преступные действия, нарушающим общественный порядок, присоединился и принял активное участие начальник отделения государственного пожарного надзора Алиев Уджаят Гаджисаят-оглы, который, грубо нарушая общественный порядок, совершил злостное хулиганство с применением физического насилия. Алиев, нецензурно бранясь, требовал от лиц грузинской национальности освобождения дороги, на которой стоял трактор для перекрытия ее от разбушевавшейся толпы, которая направлялась в Болниси. Он набросился на водителя трактора, схватив его руками за горло, порвал сорочку и упорно настаивал на освобождении дороги для проезда. Лишь применением физической силы удалось пресечь действия Алиева, но на помощь ему выбежали находившиеся в его машине друзья с кинжалом и ножом. Подоспевшие к месту событий люди отобрали у разбушевавшихся нарушителей общественного порядка холодное оружие, Алиев, сев в машину с друзьями, скрылся..., но ненадолго. Его несколько дней не было ни дома, ни на работе. Он предал свой коллектив в те тревожные дни. И в конце концов оказался на скамье подсудимых.

**А. КАРСЕЛИ.**

* * *

**О других подобных фактах, имевших место в Абхазии, Юго-Осетии, будет изложено в ближайших номерах газеты.**

# მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცულობის საკითხებისათვის

**(დასასრული).**

სამართალდამცავი ორგანოების სამართლებრივი დაცულობის შემუშავების გზაზე თუ მივაღწიეთ იმას, რომ მილიციაში ყველამ თავის საქმე აკეთოს კანონით დაკისრებული ფუნქციების და არა ადგილობრივი ხელმძღვანელებისათვის სასურველი მითითების შესასრულებლად, ხომ კარგი, თუ არა და ამ თემაზე ლაპარაკი კიდევ ერთი ნაბიჯი იქნება დაპირისპირებისაკენ და არავითარ პრაქტიკულ სიკეთეს იგი ჩვენ არ მოგვიტანს.

ყოველივე ეს ისე არავინ გაიგოს, რომ მილიცია უნდა გამოვიდეს ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების გავლენიდან, მაგრამ საჭიროა ყველა ორგანოს ჰქონდეს უფლება-მოსილების განსაზღვრული საზომი, ჩვენ კი ამ საზომის შეხსენების უფლება, რამეთუ მზომელის რეკომენდაციებით შინაგან საქმეთა ორგანოებში მივლინებულთა მოღვაწეობამ ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობის გაუმჯობესება ვერ მოიტანა.

4. სადაც ძალაა იქ რომ კანონი სათანადოდ ვერ მოქმედებს, ყველამ კარგად იცის, მაგრამ თუ გვინდა შევქმნათ ჩვენს ორგანოებში ჯანსაღი მორალურ-პოლიტიკური კლიმატი უნდა დავაწესოთ, რომ მილიციის ოფიცრის თანამდებობაზე დაინიშნონ მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელდამთავრებულები და არა სამოქალაქო დაწესებულებიდან რეკომენდირებული (ხშირად არც თუ ისე უანგაროდ) პირები. ეს ნაბიჯი თავისთავად აუწევდა ავტორიტეტს შს სამინისტროს სასწავლებლებში დაუსწრებელ სწავლას, რადგანაც მილიციელი პრაქტიკული მუშაობისას იძენს გამოცდილებას და მას ამაგრებს უმაღლესი თეორიული ცოდნით და ყალიბდება პროფესიონალად.

სხვაგვარად ჩვენ ვერ დავარწმუნებთ იმ თანამშრომლებს, რომლებსაც უმაღლესი განათლება აქვთ და მუშაობენ რიგითი მილიციელის თანამდებობაზე, რომ ჩვენთან გარდაქმნამ უკვე ფეხი მოიკიდა, საკადრო საკითხი წყდება ობიექტურად და კანონზომიერადო, რამეთუ დასაწინაურებელი ურეკომენდაციო-უპერსპექტივო თანამშრომლები შესანიშნავად ამჩნევენ, ვის უნთია მწვანე შუქი და ვის წითელი სამომავლო გზაზე და რატომ.

5. თუ სამართლებრივ დაცულობაზეა ლაპარაკი, მაშინ მილიციის თანამშრომლებმაც უნდა ისარგებლონ კონსტიტუციით მინიჭებული ყველა სამოქალაქო უფლებით. მათ მოღვაწეობას შეფასება უნდა ეძლეოდეს იმ ფარგლებში თუ როგორ ასრულებს იგი სამშობლოს წინაშე მიცემულ ფიცს, ამავე დროს უნდა გაითვალისწინოს, რომ ყველას აქვს თავისი პირადი ცხოვრება და პირადი შეხედულება ამ ცხოვრებაზე, კმარა ერთაზროვნებისაკენ ჩიჩინი.

მოქალაქეობრივმა შეზღუდულობამ აიძულა ლენინგრადის გარნიზონის თანამშრომელთა ნაწილი, რომ ქალაქის მთავარ მოედანზე ჩაეტარებინათ მიტინგი. ამ ფაქტის ობიექტური შეფასებაც კი ვერ მოხერხდა, რადგანაც არსებობს დაწერილი და დაუწერელი კანონები. სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დაუწერელი კანონების თარეშს ბოლო უნდა მოეღოს.

რომელ სამართლებრივ დაცულობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა მილიციის მუშაობის ხანგრძლივობა „განისაზღვრება" „განუსაზღვრელი სამუშაო დროით?" კი მაგრამ მილიციისათვის განუსაზღვრელი მუშაობა? ასეთ არაადამიანურ პირობებში მომუშავე კაცს, რომელმაც იკისრა საზოგადოების ინტერესებისათვის სიცოცხლის გაწირვა, იგივე საზოგადოება მილიციის ფორმაში მყოფ დამცველს რაიმეს ყიდვის დროს რიგში ჩადგომას თხოვს. საინტერესოა, ძალიან ბევრს წააგებდა საზოგადოება თუ დადგინდებოდა მილიციის ფორმაში მყოფ თანამშრომლებისათვის რიგგარეშე მომსახურება?

6. სამართლებრივად სრულიად დაუცველია ხელმძღვანელთა შემადგენლობა, რომელსაც ეკისრება პასუხისმგებლობა ხელქვეითთა მხრიდან არა მარტო სამსახურებრივი მოვალეობების ხარისხიანად შესრულებისათვის, არამედ ყოფაცხოვრებაში დაშვებული გადაცდომებისათვის. სოფელში რომ ხელქვეითმა ღობის სარი ცოტა გარეთ ჩაასოს, განა ამისათვის ქალაქში მისი უფროსის დასჯა შეიძლება? განა მილიციის თანამშრომელს არ შეიძლება ყავდეს ანჩხლი ცოლი ან ცუდი მეზობელი, რომლებთანაც არაკეთილგანწყობილი დამოკიდებულებისათვის სამსახურშიც სულს ვუმწარებთ უმცროს-უფროსებს?

ჩემი აზრით უფროსს პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეს ხელქვეითის მხოლოდ და მხოლოდ სამსახურებრივი მოღვაწეობისათვის.

7. აქ შეიძლება არ გამოვთქვა პრინციპული შენიშვნები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1984 წლის 3 მაისს დამტკიცებული შინაგან საქმეთა ორგანოების სადისციპლინო წესდების მიმართ, რომელიც ითვალისწინებს სასჯელთა ნაირსახეობას, მაგრამ კონკრეტულობაზე რომ არაფერი ვთქვათ, მინიშნებაც კი არ არის თუ როგორი სახის დარღვევისათვის როგორი სასჯელი შეიძლება გამოიყენოს ხელმძღვანელმა.

ეს წესდება არის ნიმუში შინაგან საქმეთა ორგანოების თანამშრომელთა სამართლებრივი დაუცველობისა, რადგან თუ არ გვაქვს ჩამონათვალი გადაცდომების სახეებისა, არ გვექნება საშუალება მათი შესაფერისი სასჯელის ობიექტური შეფასებისა, ნუთუ ძალიან ძნელია, რომ სხვა სახის სასჯელი მოვარგოთ რამდენიმე გადაცდომის განსაზღვრებას? წარმოიდგინეთ რა მოხდებოდა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში, რომ არსებობდეს მხოლოდ სასჯელთა სახეები ჯარიმიდან დახვრეტამდე და არ იყოს განსაზღვრული დანაშაულობანი შეურაცხყოფიდან მკვლელობამდე.

ამ ხარვეზის ბრალია ის, რომ რაც ერთ უფროსს დარღვევად არც კი მიაჩნია, მეორემ იგი შეიძლება საგანგაშოდ ჩათვალოს და გამოიყენოს ნებისმიერი სასჯელი ორგანოებიდან დათხოვნამდეც კი.

8. სადისციპლინო წესდების პირველი მუხლით თუ ვიმსჯელებთ, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრების ბრძანებების დარღვევა დისციპლინის დარღვევად არ ითვლება, რადგანაც თურმე შს ორგანოებში დისციპლინა განისაზღვრება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობით, ფიცით, წესდებებით და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებებით დადგენილი წესების დაცვით.

9. სადისციპლინო წესდების აბსურდულობის ზენიტად მიმაჩნია სრულიად დამოუკიდებელი მე-10 მუხლი, სადაც ნათქვამია: „უფროსის ბრძანება უნდა შესრულდეს სიტყვაშეუბრუნებლად, ზუსტად და დროულად".. კი მაგრამ როგორ ბრძანებაზეა ლაპარაკი, რომელიც გაიცემა სამწყობრო მომზადებაში მეცადინეობის დროს თუ რაიონის ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების გაჯანსაღებისაკენ მიმართული ღონისძიებების ჩატარებისათვის? თუ წესდებაც კანონია, ასეთი კანონმდებლობის ქვეშ მომუშავე ადამიანმა რომ პენსიამდე ვერ მიაღწიოს გასაკვირია? განა ჩვენი ყველა „მბრძანებელი" იდეალურია? შემსრულებელმა როგორ გახსნას შენიღბული დანაშაული ორ საათში თუ ასეთი ბრძანება მისცეს? აი სადამდე მიგვიყვანა სამხედრო წესდებების გადმოწერა-დანერგვებმა. ნუთუ 18 წლის ჯარისკაცისა და 50 წლის მილიციის ოფიცრისათვის ერთნაირი წესდებები უნდა არსებობდეს?

ერთი სიტყვით თუ დავადექით მილიციის თანამშრომელთა სამართლებრივი და სოციალური დაცვის გზას, გაბედულად უნდა უარვყოთ ყოველივე დრომოჭმული და ათწლეულობით დამკვიდრებული უკუღმართობანი.

**რ. ბრიგალაშვილი,**

**ქ. თბილისში სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა დაცვის მილიციის ცალკე დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

# გამტაცებელთა კვალზე

**გასული** წლის 14 დეკემბერს მარნეულის შს რაიგანყოფილებაში დაახლოებით 17 საათზე შემოვიდა ორი აღელვებული მახლობელი, რომლებმაც განაცხადეს, რომ ნახევარი საათის უკან რაისაავადმყოფოს წინ ძალის გამოყენებით ავტომანქანა „ჟიგულში" ჩასვეს და გაიტაცეს 7-8 წლის ბიჭი, როგორც შემსწრეებმა აღნიშნეს ავტომანქანის ნომერი იწყებოდა ციფრით 82...

რაიგანყოფილებაში მაშინვე შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი უფროსის, მილიციის პოდპოლკოვნიკ ფ. სვანიძის ხელმძღვანელობით. გატარდა ოპერატიული ღონისძიებები ბოროტმოქმედთა „ცხელ კვალზე" დადგენა-დაკავების მიზნით. კერძოდ, დადგინდა ავტომანქანის ნომერი, რომლის მფლობელი აღმოჩნდა ი. ა. გადაკეტილი იქნა მარნეულის რაიონის ყველა შესავალ-გასავალი გზა. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა გზების გადაკეტვას, საიდანაც სავარაუდო იყო დამნაშავეთა გამოჩენა. აყვანილი იქნა მეთვალყურეობის ქვეშ ი. ა-ის და მასთან ახლო ურთიერთობაში მყოფი პირების საცხოვრებელი ადგილები... ამ დროს ბინაში დაურეკეს კ. დ-ს და ბავშვის დასაბრუნებლად, გამოსასყიდი 50 ათასი მანეთი მოსთხოვეს. მიღებული ზომების შედეგად მალე დააკავეს ი. ა. და ს. უ. რომლებმაც აღიარეს მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, რომ ბავშვი გაიტაცეს ფულის გამოძალვის მიზნით. ასევე აჩვენეს, რომ ბავშვი გადამალული ჰყავდათ სოფელ ოფრეთში ს. უ-ს მშობლების სახლში. სადაც იმყოფებოდა მესამე ბოროტმოქმედი ს. ა. დამნაშავეთა დაკავების დროს ამოღებული იქნა ნიღბები, მილიციის თანამშრომლებმა განყოფილების უფროსის მოადგილის, მილიციის პოდპოლკოვნიკ ო. იმნაძის ხელმძღვანელობით დააკავეს მესამე ბოროტმოქმედი, ბავშვი კი სრულიად უვნებელი დაუბრუნეს მშობლებს.



სურათზე: ო. იმნაძე გატაცებულ ბავშვს უბრუნებს მშობლებს.

გ. გურამიშვილის ფოტო.

ბავშვის გატაცების ფაქტთან დაკავშირებით მარნეულის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების საგამოძიებო ქვეგანყოფილებაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. გამოძიების ჩატარება დაევალა უფროს გამომძიებელს, მილიციის მაიორს თ. ვარდოშვილს. ქვეგანყოფილების უფროსის ჯ. გოდერიძის ხელმძღვანელობით გამომძიებელმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები, რომლის შედეგად სამივე ბოროტმოქმედმა აღიარა ჩადენილი დანაშაული, რის შემდეგაც აყვანილი იქნენ პატიმრობაში. გამოძიების პროცესში დადგინდა, რომ ს. უ. 1987 წელს სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული იყო, როგორც ფსიქიურად დაავადებული. მისმა მშობლებმა გამომძიებელს წარუდგინეს შვილის ავადმყოფობის ისტორიის ამონაწერები მოსკოვის და თბილისის ფსიქიატრიული საავადმყოფოებიდან, მაგრამ გამომძიებელმა აღნიშნული ფაქტი გულმოდგინედ შეამოწმა რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში. დაინიშნა ფსიქიატრიული ექსპერტიზა, რომლის დასკვნითაც ს. უ. იყო ნორმალურ მდგომარეობაში და იგი მთლიანად აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისათვის. გამოძიების პროცესში ასევე დადგინდა, რომ ს. უ-ს თეთრიწყაროს ტერიტორიაზე ჩადენილი ჰქონდა დანაშაული საგზაო შემთხვევის ფაქტთან დაკავშირებით, რის გამოც იგი მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში.

ბავშვის გატაცებასთან დაკავშირებით აღძრული საქმე დამთავრების სტადიაშია და მას მალე განიხილავს სასამართლო.

**ა. პოლიაკოვი,**
**მარნეულის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი.**

## გვეკითხებით — ვუპასუხებთ

**რედაქციაში** ყოველდღე შემოდის სხვადასხვა ხასიათის წერილები. ავტორები ითხოვენ მათთვის საინტერესო საკითხებში გარკვევას. წერილთა შინაარსი თემატურად მრავალფეროვანია: განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ ხელფასის მომატებისა და სამუშაო სტაჟის საკითხები. სწორედ ამ შინაარსისაა ყვარელის შს რაიგანყოფილების თანამშრომლის ზ. ზურიაშვილის წერილი. ავტორი გვთხოვს გაერკვეს, რატომ ეთვლებათ მილიციის ორგანოებში მუშაობის სტაჟად პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან გადმოსულ მუშაკებს და არ ეთვლებათ ამ სისტემაში სამოქალაქო სამსახურიდან მოსულთ. და რატომ არ მოქმედებს ხელფასის ოდენობაზე

**განსაკუთრებულ**

**ინტერესს**

**იწვევს**

სამოქალაქო სამსახურში მუშაობის წლები.

რედაქციამ ეს პრობლემა ადრეც დააყენა მკითხველთა წინაშე და მისი საბოლოო გადაწყვეტა ზემდგომ, კომპეტენტურ ინსტანციებს მიანდო. მაგრამ სჩანს ჯერ-ჯერობით არაფერი გარკვეულა, რადგან ინტერესი დასმული საკითხებისადმი არ განელებულა.

გაზეთის რედაქცია კი თავის მხრივ განმარტავს, რომ 1974 წლის სსრ კავშირის შს სამინისტროს დეკემბრის ბრძანებულების თანახმად შს ორგანოებში მუშაობა სტაჟად ეთვლებათ პარტიული და საბჭოთა ორგანოებიდან გადმოსულ მუშაკებს, რომლებიც სამსახურს იწყებენ მხოლოდ გარკვეულ, შესაბამის თანამდებობაზე.

რაც შეეხება ხელფასთან დაკავშირებულ საკითხს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტრო დღეისათვის ამუშავებს ახალ კანონმდებლობას შს თანამშრომლების პენსიით უზრუნველყოფის შესახებ, სადაც გათვალისწინებულია, რომ ჩაეთვალოს საშუალო, უფროს და უმაღლეს შემადგენლობას საპენსიო სტაჟად დრო, მოსამსახურეებს და რიგითებს შს სისტემაში მუშაობამდე — გათვალისწინებით — განთავისუფლებულია სამსახურიდან ასაკით, ავადმყოფობით, შტატების შემცირებით ანდა ჯანმრთელობის გამო თუ ის იმ მომენტში 50 წლის ხდება. მუშაობის საერთო სტაჟი პენსიისათვის 25 წელია, რომელთაგანაც 12 ნახევარი წელიწადი უნდა შეადგენდეს სამხედრო ან შინაგან საქმეთა სამსახურს.

ზემოხსენებული დადგენილების დამტკიცების შემთხვევაში ოფიცერთა შემადგენლობას საპენსიო სტაჟად ჩაეთვლება შს სისტემამდე ნამუშევარი სტაჟი.

## ვაჯამებთ წლის შედეგებს

# განიხილეს პარტიულ კრებაზე

— **1989 წელი** როგორც პოლიტიკური, ასევე ოპერატიული ვითარებით განსაკუთრებული დაძაბულობით გამოირჩეოდა ჩვენს რესპუბლიკაში, გამონაკლისს არც თეთრიწყაროს რაიონი წარმოადგენდა. პირად შემადგენლობას სამსახურის დიდი ნაწილის გატარება სხვადასხვა რაიონსა და ქალაქებში უწევდათ და დროებით მოწყვეტილნი იყვნენ თავიანთ სამოქმედო უბანს, მაგრამ მაინც მთლიანად რაიონში სტაბილურობა შევინარჩუნეთ — ასე დაიწყო მოხსენება თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების ღია პარტიულ კრებაზე მილიციის უფროსმა ლ. ნადირაძემ, — მიუხედავად იმისა, რომ საერთო დანაშაულობათა რაოდენობამ 6 ერთეულით იმატა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ოპერატიული ვითარება დაიძაბა, არამედ ეს ძირითადად ჩვენს მიერ გამოვლენილი დანაშაულობებია და ამ მხრივ მუშაობა კიდევ უნდა გავაძლიეროთ... კრიტიკული იყო ლ. ნადირაძის გამოსვლა ძირითადად სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის, სისხლის სამართლის სამძებრო ჯგუფების, სამორიგეო ნაწილისა და სხვათა მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გაუხსნელ დანაშაულობებთან ბრძოლის გააქტიურებას. უბნის ინსპექტორებს მიეთითათ სუსტ მუშაობაზე.

სიტყვაში გამოსულმა თანამშრომლებმა თვითკრიტიკულად შეაფასეს გაწეული მუშაობა, ხაზი გაუსვეს ხარვეზებს, და პირობა მისცეს პარტიულ კრებას შემდგომ მუშაობაში გაითვალისწინონ მიღებული შენიშვნები. თანამშრომელთა ძირითადი ყურადღება გადატანილი იქნა ერთაშორის ძმობისა და მეგობრობის განმტკიცებაზე, რისთვისაც მილიციის ყველა მუშაკს დაევალა ამ მხრივ გააძლიერონ მუშაობა, მეტი კონტაქტი იქონიონ მოსახლეობასთან, რათა ზოგ მოქალაქეთა არასწორმა, ემოციურმა მოქმედებამ არ გამოიწვიოს დაძაბულობა რაიონის მრავალეროვან მოსახლეობას შორის.

**რ. რამინაშვილი,**
**თეთრიწყაროს შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი.**

ПОДВОДИМ ИТОГИ ГОДА

# ПРОВОДЯТ РЕЙДЫ

**О проделанной работе и мерах пожарной безопасности на объектах народного хозяйства рассказывает начальник ИГПН Дманисского РОВД капитан в/с Эмзар Девнозашвили.**

**В ПРОШЕДШЕМ** году в Дманисском районе произошло 24 пожара, убыток от которых составил 38497 рублей. По сравнению с 1988 годом количество пожаров сократилось на 6 единиц, а убыток почти на 60 процентов.

В 1989 году сотрудниками инспекции проверено противопожарное состояние объектов народного хозяйства с вручением письменных предписаний, на электростанциях и промышленных предприятиях района оборудованы пожарные сигнализации: в складских помещениях, базах и торговых предприятиях — 57, в социально - культурных учреждениях — 2. Всего в районе количество оборудованных пожарной автоматикой объектов в 1989 году достигло — 10. С целью пропаганды проведена агитационно - массовая работа по обучению населения мерам пожарной безопасности, в которой было охвачено 14 тысяч жителей Дманисского района, опубликованы статьи в местной печати.

Инспекцией Дманисского РОВД за нарушение правил пожарной безопасности наложены денежные штрафы на 71 человека на сумму 1.166 рублей, в том числе на 30 должностных лиц. 10 человек предупреждены. Кроме того, на промышленных предприятиях и других объектах народного хозяйства опечатано 36 печей, находящихся в пожароугрожающем состоянии, на 4 объектах частично прекращена эксплуатация, возбуждено 4 уголовных дела по возникшим пожарам. Так, недавно было возбуждено дело по 157 статье 2-й части на гр-на Г. Насибова, который на почве ссоры в селе Днуси похитил драгоценные вещи гр-на Б. Насибова, а затем поджег после этого личные принадлежности, в результате чего возник пожар, который вовремя был ликвидирован.

Сейчас личный состав инспекции надзора Дманисского РОВД совместно с сотрудниками милиции проводят рейды, охватывая все пожароопасные предприятия района.

**А. МАЛАЯНЦ.**

• • •



**НА СНИМКЕ: начальник ИГПН Дманисского РОВД капитан внутренней службы Э. Девнозашвили во время тактических занятий.**

სწრაფად, ოპერატიულად

# ორ საათში დააკავეს...

**...თენდებოდა,** როცა ხაშურის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა. ქალის აღელვებული ხმა იტყობინებოდა, რომ სოფელ ნაბახტევში ნ. ოქროაშვილის ბინას ყაჩაღურად თავს დაესხნენ ბოროტმოქმედები და იარაღის მუქარით ბინიდან გაიტაცეს ოქროს სამკაულები და ფული.

სულ რამოდენიმე წუთში განყოფილების უფროსმა გ. ქიმერიძემ ჩამოაყალიბა ოპერატიული ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ, უფროსის მოადგილე ზ. კაციტაძე, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების უფროსი მ. ჩხეიძე, ამავე ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებული მ. ტაბატაძე, გამომძიებელი ო. გასიშვილი, სახელმწიფო ავტოინსპექციის ადმინისტრაციული პრაქტიკის ინსპექტორი თ. ლომიძე და უბნის ინსპექტორი ზ. ფარემუზოვი.

ადგილზე ვერაფრის დადგენა ვერ მოხერხდა. დაშინებულ ოქროაშვილის ოჯახის წევრებს სიბნელის გამო არ ახსოვდათ ბოროტმოქმედის სახეები. საჭირო იყო დროული ოპერატიული ღონისძიებების ჩატარება. მ. ჩხეიძისა და მ. ტაბატაძის უნარიანი და სწრაფი მოქმედებით მალე ბოროტმოქმედთა კვალს მიაგნეს. სულ რაღაც ორი საათის განმავლობაში დააკავეს და განყოფილებაში მიიყვანეს ბოროტმოქმედები, ადრე ნასამართლევები ე. ს. და ტ. ს. ოპერატიული ჯგუფის წევრების მიერ ამოღებული იქნა ნაძარცვი ნივთები და ფული.

**ბ. მგალობლიშვილი.**



სურათზე: განყოფილების უფროსის მოადგილე ოპერდარგში, მილიციის კაპიტანი თ. გიკაშვილი, სისხლის სამართლის სამძებრო ქვეგანყოფილების ოპერრწმუნებულები, მილიციის ლეიტენანტი მ. კორკოტაძე და უფროსი ლეიტენანტი მ. ტაბატაძე.

ავტორის ფოტო.

ПО МАТЕРИАЛАМ ГЛАВНОГО ИНФОРМАЦИОННОГО ЦЕНТРА МВД СССР

# Организованная преступность в США

(ОКОНЧАНИЕ)

**ПО НЕКОТОРЫМ** оценкам около 10 тысяч легальных деловых предприятий находятся в руках организованных преступных групп, получающих ежегодно прибыли порядка 12 млрд. долларов.

Особый интерес для организованной преступности представляют продажа торговых автоматов, торговля одеждой, содержание баров, ресторанов, кабачков, гостиниц и отелей, торговля различными продовольственными товарами, автомобильные агентства, компании по перевозкам, портовый бизнес. Выбор этих видов бизнеса обусловлен возможностью оперировать преимущественно наличными и тем самым пропускать денежные средства т. е. «отмывать» незаконно полученные деньги через легальные каналы.

Одной из важных сфер деятельности организованной преступности в США являются операции вокруг азартных игр — спортивные пари (особой популярностью болельщиков пользуются футбол, баскетбол, бейсбол, бокс), приносящие внушительные прибыли. К этой же сфере деятельности следует отнести процветающие по всей стране игорные дома и игорный бизнес, а также проведение нелегальных лотерей, организация нелегального тотализатора.

Кроме этого широко распространены и такие виды организованной преступности как проституция, порнография, нелегальная продажа сигарет и спиртных напитков, нелегальный ввоз иностранцев в страну, фальшивомонетничество и др.

Довольно широкое распространение получил профсоюзный рэкет — открывающий доступ к профсоюзным фондам и их расходованию, использование профсоюзов для оказания помощи в некоторых видах преступной деятельности, для достижения соглашений с администрацией в обмен на различные услуги со стороны администрации и др. и пользование профсоюзов для вытеснения фирм, конкурирующих с легальными предприятиями, которые контролируются организованной преступностью.

Коррупция в государственных органах также имеет широкое распространение и выражается в неприменении уголовных законов или формальном применении нормативных актов, предоставлении необходимых разрешений и др.

Коррупция ведет к извращению политического процесса и пагубна для всех слоев. Она подрывает государство, подвергая опасности его граждан, вызывает рост издержек и в конечном итоге разрушает веру в правительство.

Все эти и другие различные виды деятельности организованной преступности образуют «невидимый деловой конгломерат». Он спаян гибкими контрактами, семейными узами, необходимостью ведения бизнеса и взаимосвязью отдельных видов деятельности, которые способствуют развитию его симбиозов. Прибыли организованной преступности поступают обратно в систему, используются для получения новых прибылей. Таким образом, складывается самоохраняющаяся порочная система, наживающаяся за счет разложения общества и наносящая ему невосполнимый денежный и моральный ущерб.

(Начало в № 4).

იურიდიული ლიტერატურის სიახლენი

# „მტკიცებითი სამართალი"

**გამოიცა** ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აწ განსვენებული პროფესორის, მეცნიერებათა დოქტორის ბეჟან ხარაზიშვილის მონოგრაფია „მტკიცებითი სამართალი". ქართულ მეცნიერულ სამართალმცოდნეობაში, რადგან სამართლის ამ დარგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პრაქტიკულ იურიდიულ საქმიანობაში. არ არსებობს დანაშაული და დამნაშავე, თუ ის კონკრეტულ მტკიცებათა საფუძველზე მწყობრ ლოგიკურ, ურთიერთგამომდინარე მსჯელობათა ჯაჭვით არ არის შეკრულ-დამტკიცებული. საკმარისია ამ მტკიცებათა ჯაჭვს ერთი რგოლი გამოაკლდეს, რომ ლოგიკურ მსჯელობათა ეს სისტემა დაიშალოს, დანაშაული ან დამნაშავის მონაწილეობა ამ კონკრეტულ საქმეში დაუმტკიცებელი აღმოჩნდეს და ამით ან სრულიად გამართლდეს, ანდა იმ იურიდიული კვალიფიკაციით დაისაჯოს, რომლის საკმარისი დამამტკიცებელი არსებობს საქმეში. მართლმსაჯულება ზეიმობს მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმეშია სამი საყრდენი: დანაშაულის ჩადენის ფაქტი, დამნაშავის ზუსტად დადგენის და სასჯელის თანაზომიერების საკითხები. სწორედ ეს არის საბოლოო მტკიცებითი სამართალი.

სასამართლოს საქმეში, რაც უნდა ბევრი იყოს სხვადასხვა მტკიცება, თუ ისინი არ ქმნიან ერთ მწყობრ, თანამიმდევრულ მსჯელობათა ჯაჭვს, რომელიც ნათელყოფს დანაშაულის არსებობის და კონკრეტული პირის მიერ მისი ჩადენის ფაქტს. თუკი არსებობს თუნდაც ერთი ეჭვი, მაშინ არ არის დამტკიცებული დამნაშავის დანაშაული და ის უნდა გამართლდეს, რადგან კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების საფუძველზე, ყველა პირი უდანაშაულოა, ვიდრე მისი დანაშაული სასამართლო განაჩენით მყარად არ არის დამტკიცებული. ყოველგვარი ეჭვი მუდამ, მხოლოდ და მხოლოდ დამნაშავის სასარგებლოდ წყდება და საეჭვო იურიდიულ მასალაზე გამამტყუნებელი განაჩენის დაყრდნობა არ შეიძლება.

ჩვენი საპროცესო კანონმდებლობა და მეცნიერება იცნობს ძირითადად მტკიცების ხუთ სახეობას. ესენია აღიარება, მოწმეთა ჩვენებები, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები, სხვა დამნაშავეთა „განთქმა", სათანადო და შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნები.

მონოგრაფიის ავტორმა მიზნად დაისახა ამ რთულ პრობლემასთან მეცნიერული შეჭიდება და შეიძლება ითქვას, გაიმარჯვა კიდეც. ეს მთელი ქართული იურიდიული მეცნიერების გამარჯვებაცაა.

**ჯ. ბაქრაძე,**
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

СПОРТ

# ПОБЕДИЛИ РУСТАВЦЫ



**НА ДНЯХ** в Рустави завершился зимний чемпионат МВД Грузинской ССР по пожарно - прикладному спорту.

В общекомандном первенстве победили хозяева соревнований — руставцы, которые набрали 4.920 очков, второе место у коллектива пожарных г. Поти, а третью ступеньку пьедестала заняли тбилисские прикладники. В отдельных видах победители и призеры показали не очень высокие результаты, так как это первые соревнования в нынешнем году, но будем надеяться, что к предстоящему чемпионату МВД СССР есть время подготовиться и показать хорошие результаты. В преодолении 100-метровой полосы с препятствиями победителем стал потиец мастер спорта Зураб Шерозия, на штурмовке первенствовал батумский мастер Мераб Цинцадзе, а на выдвижной лестнице победителем стал руставский дуэт в составе мастеров спорта Сулико Варшанидзе и Гурама Цецхладзе.

По итогам первенства составлена сборная команда МВД Грузии, которая в середине марта примет участие в чемпионате МВД СССР в г. Николаеве.

**Д. ГЕЛАШВИЛИ,**
**капитан внутренней службы, старший инженер ОСП УПО МВД ГССР.**

(დასასრული)

მაგნიტოფონი გამორთეს. ოთარ ხომერიკმა დავითის ჩანაწერები გადაფურცლა და გულდასმით წაიკითხა. მერე იქ მყოფთ ერთდროულად მიმართა: ამხანაგებო ეს ჩანაწერები მეტად საყურადღებოა. განსაკუთრებით აი ეს, სადაც ჩამოთვლილია გვარები: გაბესკერია, ღვინჯილია, ალანია ასევე კითხვის ნიშნებით, ჩემი აზრით აქ რაღაც უნდა იმალებოდეს, ვინმეს რაიმეს ხომ არ გეუბნებათ აქ ჩამოთვლილი გვარები?

— ბარდლა სამსონის ძე გაბესკერია ტრესტის მმართველის საქმის მწარმოებელია, სხვათაშორის ადრე სამართალში ნამყოფი, სახელმწიფო ქონების დატაცებისათვის. სასჯელის მოხდის შემდეგ კარგა ხანს არსად არ უმუშავია, დაახლოებით ეს ექვსი თვეა რაც დავითთან დაიწყო ტრესტში მუშაობა ჯერ ბრიგადირად და ორი თვის გასვლის შემდეგ უკვე დააწინაურეს.

ლევან გიორგის ძე ღვინჯილია — ტრესტის მთავარი ბუღალტერია, ადრე სამართალში არ ყოფილა. ხოლო ბოჩია ვარლამის ძე ალანია ტრესტის ეკონომისტია, ეს უკანასკნელიც ადრე სამართალშია ნამყოფი ქრთამის აღებისათვის. სამი წელია რაც ამ თანამდებობაზე მუშაობს, უპასუხა პოლკოვნიკმა და დასძინა: ვფიქრობ, მათ დანაშაულებრივი კავშირი უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან. ამხანაგო მაიორო, დღესვე შევათანხმებ ამ საქმეს რაიონის ხელმძღვანელობასთან და დაუყოვნებლივ შევუდგებით მის შესწავლას. თქვენც ხომ არ მიიღებდით მონაწილეობას ამ საქმეში?

— არა ამხანაგო პოლკოვნიკო, მე ამ საღამოს თბილისში უნდა გადავფრინდე და ხელმძღვანელებს მოვახსენო იმ საქმის შედეგები, რომელიც მე მქონდა დავალებული. ამასთან იმედი მაქვს რომ თქვენ ადგილობრივი ძალებითაც მოუვლით ამ საქმეს, ამ ჩანაწერების გარდა ყველაფერი კვლავ ჩემოდანში ჩააწყვეთ, დალუქეთ და სასწრაფოდ გადააგზავნეთ რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროში. ეხლა კი ნება მიბოძეთ დაგემშვიდობოთ და მადლობა გადაგიხადოთ ყოველივე იმ დახმარებისათვის, რაც თქვენ და თქვენმა მოადგილემ გამიწიეთ ჩემი მისიის შესრულებაში. მე ამხანაგი ალექსანდრე გამაცილებს. მე კმაყოფილი ვარ თქვენთან ერთად მუშაობისა. ნახვამდის!

— ჩვენც დიდად კმაყოფილები ვართ, — ორივეს მაგივრად უპასუხა პოლკოვნიკმა. — ნახვამდის!

მეორე დღეს ოთარმა გენერალს მოახსენა სიტყვიერად საქმის შედეგები და მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინა დაწვრილებითი მოხსენებითი ბარათი და სათანადო საბუთები.

— ყოჩაღ, ჩემო ოთარ!... დიდი კმაყოფილი ვარ შენი. ძალიან დიდი მუშაობა ჩაგიტარებია, მაგრამ არც მე დაგხვდი ხელცარიელი, — უთხრა გენერალმა და საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანების ამონაწერი გაუწოდა, რომელიც იუწყებოდა, რომ მაიორ ოთარ ხომერიკს უკანასკნელი ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის მიენიჭა პოდპოლკოვნიკის წოდება...

ოთარმა ბადრი ქოიავას პატიმრობიდან განთავისუფლების შუამდგომლობა იმავე დღეს დაწერა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის სახელზე, რომელიც ჩვეული ოსტატობით დახვეწა, დაასაბუთა და თავმჯდომარესთან შეიტანა.

ერთი კვირის შემდეგ ბადრი ქოიავა პატიმრობიდან გაანთავისუფლეს. ციხიდან გამოსულ ბადრის გასასვლელში მეუღლე, ქალიშვილები და ოთარ ხომერიკი დახვდნენ. იგი თავის მეუღლესა და ქალიშვილებს გადაეხვია და პატარა ბავშვივით ასლუკუნდა.

ოთარ ხომერიკის წინასწარმეტყველება გამართლდა. რაიონის შინაგან საქმეთა მუშაკებმა სარევიზიო ორგანოების მუშაკებთან ერთად „კოლხიდმშენის" ტრესტში, რომელსაც წლების მანძილზე დავით დიხამინჯია ხელმძღვანელობდა აღმოაჩინეს დამნაშავეთა დიდი ჯგუფი, რომელიც დიდი რაოდენობით იტაცებდა სახელმწიფო ქონებას, როგორც გამოძიებით გაირკვა დამნაშავეთა ამ ჯგუფის ორგანიზატორი და სულის ჩამდგმელი დავით დიხამინჯია იყო.

რამოდენიმე თვის შემდეგ საქართველოს სსრკ უმაღლესმა სასამართლომ დავით დიხამინჯიას და ზურაბ დარჩიას განსაკუთრებით საშიში და მძიმე ბოროტმოქმედებისათვის სასჯელის უმაღლესი ზომა სიკვდილი მიუსაჯეს, რომელიც რამდენიმე დღეში სისრულეში იქნა მოყვანილი.

ბოროტმოქმედნი და დამნაშავენი ალბათ არც ელოდნენ სხვა რაიმე შემამსუბუქებელ სასჯელს, მაგრამ სასამართლო პროცესზე ყველაზე დასამახსოვრებელი მაინც ის იყო, რომ განაჩენის გადაწყვეტილების წაკითხვისას ეს ერთ დროს ამაყი და თავმომწონე ადამიანები ნამდვილ ჩვრებს დაემსგავსნენ. თვალთაგან ცრემლები ღაპაღუპით გადმოსდიოდათ და რაღაც შემზარავ სანახაობას წარმოადგენდნენ. მათ ცრემლებსა და ქოიავას ცრემლებს შორის დიდი განსხვავება იყო, სასამართლო პროცესზე დამსწრეთა შორის მათ სიბრალულის გრძნობა არ გამოუწვევიათ...

**გ. თოფურია**

# განსხვავებული ცრემლები

დასაწყისი იხ. „მებრძოლი გუშაგი" № 47-6 (1990).

# НОВИНКИ ТЕХНИКИ

## НОВЫЙ ОГНЕТУШАЩИЙ ПОРОШОК

В ФРГ были проведены испытания нового огнетушащего порошка, созданного на основе калий-аммоний-карбоната. В противень площадью 200 $м^2$ заливался авиационный бензин. Время свободного горения — 60 секунд. После этого из лафетного ствола подавали порошок. Тушение длилось 20 секунд при интенсивности подачи порошка 0,22 $м^2/с$. Это дало возможность специалистам заключить, что новый порошок эффективнее выпускающегося в настоящее время в ФРГ порошка на основе сульфата калия.

## ОБЛЕГЧАЕТ РАБОТУ ПОЖАРНЫХ

Для эффективной разборки конструкций при тушении пожара фирма «Херго» (ФРГ) разработала специальные подушки высокого давления (0,8 МПа). С их помощью можно поднимать или передвигать обломки строительных конструкций, технологического оборудования массой до 66 т. А в сложенном виде подушку можно просунуть в щель шириной 3 см. Освоен выпуск подушек десяти различных размеров.

## НОВАЯ КАСКА

Одна из канадских фирм разработала новую каску для пожарных. В отличие от существующих моделей она состоит из двух оболочек — внутренней и внешней. Последняя изготовлена из твердого стекловолокна и защищает от ударов, а также от воздействия высокой температуры и химических веществ. Внутренняя оболочка состоит из пружинящего пенополиуретана. Каска оснащена малогабаритной радиостанцией с ручным и автоматическим управлением.

ინდექსი 66639
НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.
რედაქტორი ა. კობალაძე
საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.
უე 09340